



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი

16/09/2022



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: მარიკა

გვარი: ტატიშვილი



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ფიზიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე ²	მე-6 დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	ფიზიკა - 0533
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, ბათუმი, 6010, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 2021 წლის 20 ივლისის №726053 გადაწყვეტილება
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 20 ივლისი
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 20 ივლისი

¹დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

²ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	01/07/2027
----	-----------------------------------	------------

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			



შესასრულებელი რეკომენდაციები⁶

1. რეკომენდირებულია მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის და შეფასების მიზნით;
2. რეკომენდებულია თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება სასწავლო კურსებში;
3. რეკომენდებულია ზოგიერთ სილაბუსში (იხ. დასკვნა. გვ. 16-17) მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებული იყოს დარგის სიახლეებზე, რათა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიში წარმოდგენილია 2022 წ. 15 ივლისს, რაც შეესაბამება საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადას.

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭომ 2022 წლის 14 ივლისს მიიღო № 06-01/51 დადგენილება, „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 29 მაისის № 01-06/31 დადგენილებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს დაევალა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ასახული რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების ანგარიშის მომზადება (დადგენილება წარმოდგენილია). ჯგუფში შევიდნენ ფაკულტეტის თანამშრომლები, ორი მოწვეული წევრი და დოქტორანტი (ოქმი წარმოდგენილ იქნა აკრედიტაციის პროცესზე). დადგენილების აღსრულებაზე კონტროლი დაევალა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს.

1 რეკომენდაცია, რომელიც სწავლის შედეგების ცვლილებას ეხება, აკადემიური საბჭოს დადგენილებაში არ არის წარმოდგენილი, თუმცა დადგენილება გულისხმობს ყველა რეკომენდაციის შესრულებას. აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ 1 რეკომენდაციის ცვლილება ეხებოდა სწავლის შედეგების ზოგიერთ არაზუსტ ტერმინს. კერძოდ: პროგრამის მიზანი გ) და შედეგი - უნარი 2.2-ში „ფიზიკოსივით ფიქრი“, როგორც კრიტერიუმი, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გამოყენებულია საერთაშორისო პრაქტიკიდან გადმოღებული მოსაზრების თანახმად (სტენფორდის უნივერსიტეტი): the ability to apply the principles of physics to solve new and unfamiliar problems. This ability is often described as "thinking like a physicist." თუმცა აღსანიშნავია, რომ სტენფორდის უნივერსიტეტს აღნიშნული ტერმინი არ აქვს გამოყენებული, როგორც პროგრამის მიზანი ან სწავლის შედეგი. უბრალოდ, აღწერის ნაწილში მოხსენიებული აქვს, რომ კონკრეტული უნარი ხშირად მოიხსენიება, როგორც „ფიზიკოსივით

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



ფიქრი.“ ამდენად, მიზანშეწონილია, რომ ეს ტერმინი არ იქნეს გამოყენებული როგორც პროგრამის კონკრეტული შედეგი და იგი ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ, როგორც მიღწევადი და რეალისტური.

ასევე სწავლის შედეგებსა და მიზნებში ხშირად გამოყენებულია ტერმინი „ფართო ცოდნა“, რაც საბაკალავრო პროგრამასთან არარელევანტური და გაბნეულია, მისი კონკრეტული შეფასებით შეცვლა - საბაზისო, ღრმა ცოდნა უფრო შეესაბამება სწავლების დონეს.

2 რეკომენდაცია ეხება თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც ხარისხიანი სწავლების საფუძველია. ეს მოიცავს განახლებული სახელმძღვანელოების გამოცემას, სხვა სასწავლო დაწესებულებების მიერ თანამედროვე ლიტერატურის ხარისხიან თარგმნას, ასევე, უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებას სასწავლო პროცესში. ფაკულტეტმა მოახერხა და გამოსცა მთელი რიგი სახელმძღვანელოები და სილაბუსებში შეიტანა, როგორც ახალი გამოცემები ისე, სხვა თანამედროვე ლიტერატურა.

3 რეკომენდაციის მიხედვით ისეთ საგნებში როგორცაა, ბიოფიზიკა, უსადენო კავშირგაბმულობა, ასტრონომია, კვანტური მექანიკა სწავლის შედეგების მისაღწევად, აუცილებელია მასში შევიდეს და განუწყვეტილად განახლდეს დარგის მიღწევები. ეს დარგები მეტად აქტუალური, მრავლისმომცველი და ტექნოლოგიების განვითარებაზე დაფუძნებული. ამიტომ მათი თანამედროვე დონეზე მიწოდება აუცილებელია.

წარმოდგენილია განახლებული სილაბუსები, ახალი 2022წ.. გამოცემული განახლებული სახელმძღვანელოები და საბაკალავრო პროგრამის ანგარიშის ფორმა. ეს სახელმძღვანელოებია:

„ფიზიკა“ - გადამუშავებული ვერსია, (ნ.ლომიძე, ხ.ლომიძე);

„რადიოფიზიკა“ - (ნ.ლომიძე, ხ.ლომიძე);

„ფიზიკური პროცესების მოდელირება“ - გადამუშავებული ვერსია (ნ.ლომიძე, ი.ჯაბნიძე, ზ. სურმანიძე);

„ზოგადი ფიზიკა“ – (ზ. გამიშიძე).

ნ.ლომიძე, ხ.ლომიძე. რადიოფიზიკა (დაფინანსებული რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, 2022)

ზ.გამიშიძე. ზოგადი ფიზიკა (წარდგენილია ბსუ საგამომცემლო საბჭოში განსახილველად

წარმოდგენილი დოკუმენტების: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ფიზიკა“, რეკომენდაციების თაობაზე შესრულების ანგარიშის, სილაბუსების, ლიტერატურის მიხედვით 1 რეკომენდაცია არ არის შესრულებული, შესრულებულია 2 და 3 რეკომენდაციები

რჩევები⁸

1. სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაუმჯობესება;

⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



2. სასურველია კურსი „ოპტიკა“ შეიცვალოს „ოპტიკის შესავალი“-ით , რაც უფრო ცხადად წარმოაჩენს საგანთან გაცნობის და ცოდნის დონეს.
3. სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს დარგობრივი/პროფესიული უცხო ენის სასწავლო კომპონენტი.
4. „ფიზიკური პროცესების მოდელირება“ სასურველია გადავიდეს მომდევნო სემესტრზე და დაედოს წინაპირობა „საინფორმაციო ტექნოლოგიები“
5. სასურველია სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოური გამოცემების კვალიფიციური თარგმანი, თანაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ამის შესრულებას.
6. სასურველია წარმოდგენილი იყოს სრული პროგრამული ბიუჯეტი დაწესებულებების საერთო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მითითებით.
7. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა რეგულარულად გამოიყენოს პროგრამის გარე შეფასების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა გარე ექსპერტიზა (განმავითარებელი შეფასება, კოლეგიალური შეფასება და სხვა)
8. პროგრამის განვითარების მიზნებისათვის მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს პერიოდულად განმავითარებელი შეფასება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სრულად შესრულდა 4 და 5 რჩევა, რომლებიც 2 და 3 რეკომენდაციასთან არიან დაკავშირებული. რეკომენდაციების თაობაზე შესრულების ანგარიშში რჩევები არ არის გაწერილი.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩე(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება ¹³	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

⁹საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹²სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით



რეკომენდაცია I ¹⁴	მკაფიოდ გაიწეროს სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის და შეფასების მიზნით
შეფასება	არ შესრულდა. 1 რეკომენდაცია, რომელიც სწავლის შედეგების ცვლილებას ეხება, აკადემიური საბჭოს დადგენილებაში არ არის წარმოდგენილი, ხოლო განახლებულ სასწავლო პროგრამაში სწავლის მიზნები და შედეგები ისევ ძველი ვარიანტი ფიგურირებს
რჩევა ¹⁵ I	3. სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს დარგობრივი/პროფესიული უცხო ენის სასწავლო კომპონენტი. 1.სასურველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაუმჯობესება;
შეფასება	არ შესრულდა. წარმოდგენილ სასწავლო პროგრამაში დარგობრივი უცხო ენის კომპონენტი არ არის ჩართული. ასევე არ ჩანს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესებისთვის გაკეთებული ქმედებები
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის დადგენილება №06-01/51 დანართი 2. ფიზიკის საბაკალავრო პროგრამა დანართი 4. ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ¹⁶	რეკომენდებულია თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება სასწავლო კურსებში
შეფასება	შესრულდა დაიბეჭდა და გამოიცა ახალი სახელმძღვანელოები
რჩევა ¹⁷ II	4. „ფიზიკური პროცესების მოდელირება“ სასურველია

¹³კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	გადავიდეს მომდევნო სემესტრში და დაედოს წინაპირობა „საინფორმაციო ტენოლოგიები“
შეფასება	შესრულდა
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 3. სილაბუსები: 1.1. სილაბუსი „ფიზიკის საფუძვლები 1.2. სილაბუსი „ფიზიკური პროცესების მოდელირება“ 1.3. სილაბუსი - „ასტრონომია“ 3.8 სილაბუსი - „ოპტიკა“ 3.12 სილაბუსი - „ველის თეორია“ 3.15 სილაბუსი - „რადიოფიზიკის საფუძვლები“ დანართი 5. სახელმძღვანელოები: ნ.ლომიძე, ხ.ლომიძე. ფიზიკა (გადამუშავებული ვერსია, 2022) ნ.ლომიძე, ი.ჯაბნძე, ზ.სურმანიძე. ფიზიკური პროცესების მოდელირება (გადამუშავებული ვერსია, 2022) ნ.ლომიძე, ხ.ლომიძე. რადიოფიზიკა (დაფინანსებული რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, 2022) ზ.გამიშიძე. ზოგადი ფიზიკა (წარდგენილია ბსუ საგამომცემლო საბჭოში განსახილველად, 2022)სასწავლო კურსში „ასტრონომია“ ძირითადი სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალში დაემატა ლიტერატურა „Jeff Hester, Brad Smith. 21ST CENTURY ASTRONOMY, ISBN: 978-0-393-11664-9 (pdf.) W. W. Norton & Company, Inc., 500 Fifth Avenue, New York, I. Hester, John Jerrey. QB45.2.A14 2010“

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი

¹⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია II ¹⁸	რეკომენდებულია ზოგიერთ სილაბუსში (იხ. დასკვნა. გვ. 16-17) მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებული იყოს დარგის სიახლეებზე, რათა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.
შეფასება	შესრულდა
რჩევა ¹⁹ II	5. სასურველია სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოური გამოცემების კვალიფიციური თარგმანები, თანაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ამის შესრულებას
შეფასება	შესრულდა გადამუშავებულ სახელმძღვანელოებში შევიდა თანამედროვე გამოცემებიდან ინფორმაცია, ამასთან ფაკულტეტმა გამოიყენა სხვა უნივერსიტეტის გამოცემული ნათარგმნი უცხოური ლიტერატურა
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 3. სილაბუსები: 1.4. სილაბუსი „ფიზიკის საფუძვლები 1.5. სილაბუსი „ფიზიკური პროცესების მოდელირება“ 1.6. სილაბუსი - „ასტრონომია“ 3.9 სილაბუსი - „ოპტიკა“ 3.13 სილაბუსი - „ველის თეორია“ 3.16 სილაბუსი - „რადიოფიზიკის საფუძვლები“ დანართი 5. სახელმძღვანელოები: ნ.ლომიძე, ხ.ლომიძე. ფიზიკა (გადამუშავებული ვერსია, 2022) ნ.ლომიძე, ი.ჯაბნიძე, ზ.სურმანიძე. ფიზიკური პროცესების მოდელირება (გადამუშავებული ვერსია, 2022) ნ.ლომიძე, ხ.ლომიძე. რადიოფიზიკა (დაფინანსებული რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, 2022) ზ.გამიშიძე. ზოგადი ფიზიკა (წარდგენილია ბსუ საგამომცემლო საბჭოში განსახილველად, 2022

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,
-----------------------	---

¹⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²⁰	
შეფასება	
რჩევა ²¹ II	2. სასურველია კურსი „ოპტიკა“ შეიცვალოს „ოპტიკის შესავალი“-თ, რაც უფრო ცხადად წარმოაჩენს საგანთან გაცნობის და ცოდნის დონეს.
შეფასება	არ შესრულდა ოპტიკის კურსის დასახელება იგივე დარჩა
მტკიცებულებ(ებ)ი	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ფიზიკა“

სტანდარტის დასახელება	5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.2. გარე ხარისხის შეფასება 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია II ²²	
შეფასება	
რჩევა ²³ II	7. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა რეგულარულად გამოიყენოს პროგრამის გარე შეფასების ისეთი მექანიზმი, როგორიცაა გარე ექსპერტიზა (განმავითარებელი შეფასება, კოლეგიალური შეფასება და სხვ.) 8. პროგრამის განვითარების მიზნებისათვის მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს პერიოდულად განმავითარებელი შეფასება
შეფასება	არ შესრულდა. უნივერსიტეტს არ გამოუყენებია პროგრამის გარე ექსპერტიზის შეფასება და არც პერიოდული სრულყოფილი შეფასება
მტკიცებულებ(ებ)ი	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ფიზიკა“

²⁰საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²²საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²³საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



თანდართული დოკუმენტაცია²⁴

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება (5გვ.)

დანართი 1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის დადგენილება №06-01/51 (2 გვერდი)

დანართი 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ფიზიკა“ (17 გვერდი)

დანართი 3. სილაბუსები

- 3.1. სილაბუსი „ფიზიკის საფუძვლები (9 გვერდი)
- 3.2. სილაბუსი „ფიზიკური პროცესების მოდელირება“ (6 გვერდი)
- 3.3. სილაბუსი - „ასტრონომია“ (7 გვერდი)
- 3.4. სილაბუსი - „მექანიკა“ (6 გვერდი)
- 3.5. სილაბუსი - „მოლეკულური ფიზიკა“ (7 გვერდი)
- 3.6. სილაბუსი - „ელექტრომაგნეტიზმი“ (10 გვერდი)
- 3.7. სილაბუსი - „ოპტიკა“ (9 გვერდი)
- 3.8. სილაბუსი - „ატომის და ბირთვის ფიზიკა“ (6 გვერდი)
- 3.9. სილაბუსი - „მეტროლოგია, ფიზიკური გაზომვები და უსაფრთხოება“ (8 გვერდი)
- 3.10. სილაბუსი - „ანალიზური მექანიკა“ (6 გვერდი)
- 3.11. სილაბუსი - „ველის თეორია“ (7 გვერდი)
- 3.12. სილაბუსი - „კვანტური მექანიკა“ (6 გვერდი)
- 3.13. სილაბუსი - „სტატისტიკური ფიზიკა“ (7 გვერდი)
- 3.14. სილაბუსი - „რადიოფიზიკის საფუძვლები“ (8 გვერდი)

დანართი 4. ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

დანართი 5. სახელმძღვანელოები

- ნ.ლომიძე, ხ.ლომიძე. ფიზიკა (გადამუშავებული ვერსია, 2022)
- ნ.ლომიძე, ი.ჯაბნიძე, ზ.სურმანიძე. ფიზიკური პროცესების მოდელირება (გადამუშავებული ვერსია, 2022)
- ნ.ლომიძე, ხ.ლომიძე. რადიოფიზიკა (დაფინანსებული რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, 2022)
- ზ.გამიშიძე. ზოგადი ფიზიკა (წარდგენილია ბსუ საგამომცემლო საბჭოში განსახილველად, 2022)

ექსპერტის ხელმოწერა

²⁴თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა